„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივლისი. 2023 * (5)88

ახალგაზრდა არქეოლოგთა ვარძიის XIV საერთაშორისო კონფერენცია

2023 წლის 1-5 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით ვარძიაში ჩატარდა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა არქეოლოგთა ვარძიის XIV საერთაშორისო კონფერენცია. ბატონი ექვთიმეს მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ერისათვის თავდადებული ადამიანის სანიმუშო ბიოგრაფიაა, რის გამოც იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ვარძიის კონფერენციაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა მონაწილეობა მიიღეს ინსბრუკის (ავსტრია), ბრნოს (ჩეხეთი), ოქსფორდის (ინგლისი), კა'ფოსკარის (იტალია), იენის (გერმანია), ედინბურგის (შოტლანდია), ბუდაპეშტის (უნგრეთი), ბორდოს (საფრანგეთი) უნივერსიტეტების და სხვა ინსტიტუციების წარმომადგენლებმა.

ვარძიის კონფერენციისადმი ინტერესი ყოველწლიურად იზრდება. კონფერენციაზე განხილული იყო არქეოლოგიაში დამკვიდრებული თანამედროვე მიდგომები, ინტერდისციპლინარული კვლევები ნეოლითიდან მოყოლებული ქრისტიანული პერიოდის ჩათვლით.

კონფერენცია 14 წლის წინ დაარსდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ვახტანგ ლიჩელის ინიციატივით, რომელიც დღესაც ხელმძღვანელობს ამ კონფერენციას. ამ საერთაშორისო კონფერენციების დაარსების მიზანი იყო ქართველი სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ინტეგრირება. ამის გამო, კონფერენცია ტარდება ინგლისურ ენაზე და ხელს უწყობს ქართველი სტუდენტების მიერ მიღწეული გამოკვლევების საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე გატანას.

პროფესორმა ვ. ლიჩელმა აღნიშნა, რომ სწორედ ამ ურთერთობების შედეგია ის, რომ წარმატებული ქართველი სტუდენტები მონაწილეობენ არა მხოლოდ ინგლისში, გერმანიაში, აშშ-ში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში გამართულ კონფენციებში, არამედ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ უცხოეთის ქვეყნებში. ახალგაზრდა არქეოლოგების წარმატების საუკეთესო მაგალითია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის დოქტორანტი დავით ნასყიდაშვილი, რომელმაც გენტის უნივერსიტეტში (ბელგია) გამართულ კონკურსში გაიმარჯვა, გახდა ამ უნივერსიტეტის არქეოლოგი-მკვლევარი და ამჟამად, იუნესკოს

პროგრამით კვლევებს ახორციელებს ინდოეთში. დავით ნასყიდაშვილის ოჯახის ისტორია ასპინძის რაიონის სოფ. ნაქალაქევს უკავშირდება.

შეხვედრა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს – სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ – მიერ ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ასპინძის საინფორმაციო ცენტრის მიერ 29 ივნისს დაბა ასპინძაში გაიმართა სამიზნე ჯგუფების სპეციფიკაზე მორგებული საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე ცენტრის მიერ მოწვეული იყო სპიკერი, სამხედრო ექსპერტი გიორგი ცხვიტავა, რომელმაც ისაუბრა ნატო-საქართველოს ურთიერთობებსა და არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

შეხვედრის მიზანი იყო მათი ცოდნის გაღრმავება დასავლური ღირებულებების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ, ასევე, მათი აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა ინტეგრაციულ პროცესებში.

საინფორმაციო ცენტრი, წლის განმავლობაში, რეგულარულად მართავს სხვადასხვა საინფორმაციო და საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 16 ივნისს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ,“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ხელშეკრულებაზე თანხის დამატების შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

დეპუტატებმა საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჯვარიძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ.

მაკა ბერიძე

ხიზაბავრასა და ივერიაში შიდა გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სოფელი ხიზაბავრა ასპინძის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი უძველესი სოფელია, ხოლო ივერია მეოცე საუკუნის მიწურულის ახლადშექმნილი სოფელია. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება მათი ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ერთნაირ გულისხმიერებას იჩენს. ცხადია 21-ე საუკუნეში პრობლემა აღარ უნდა იყოს საგზაო ინფრასტრუქტურაზე, შიდა განათებაზე, სასმელ თუ სარწყავ წყალზე, მაგრამ მემკვიდრეობით ამ სოფლებს ბევრი პრობლემა გადმოჰყვა ქვეყანაში სისტემური ცვლილებების შემდეგ და გასაკეთებელ-განსახორციელებელიც მეტი გამოჩნდა ვიდრე ამას წარმოვიდგენდით. მაგრამ სოფელი ერთ დღეში არ შენდება და უკანასკნელ ხანს მართლაც კარდინალური ცვლილებების მოწმენი გავხდით. კერძოდ, ორივე სოფელში მიყვანილი იქნა ადმინისტრაციული ცენტრთან დამაკავშირებელი მოასფალტებული გზები, დამონტაჟდა გაზგაყვანილობა, მოხსნილია სოფლად დასუფთავების პრობლემა, ასევე მოეწყო შიდაგანათებები და ა.შ. ახლახან კი ორივე სოფელში კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება დაიწყო, კერძოდ, შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოფელ ხიზაბავრაში პროექტით დაგეგმილია ასფალტო-ბეტონის საფარის და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 440 416 ლარს შეადგენს.

სოფელ ივერიაში კი განსაზღვრულია ასფალტო-ბეტონის საფარისა და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 995 800 ლარს შეადგენს. პროექტი გარდამავალია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N2" აწარმოებს.

გილოცავთ

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა საბავშვო ბაღის მომავალ პირველ კლასელს ულოცავს ბაღის დამთავრებასა და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას.

თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის მომავალი, ჩვენთ პატარებო. ყველა თქვენგანს გისურვებთ უდიდეს წარმატებას ცხოვრების ამ ახალ ეტაპზე.

პატივისცემით,
მუნიციპალიტეტის მერი
როსტომ მაგრაქველიძე,
საკრებულოს თავმჯდომარე
ბესიკი ბერიძე

სტუმრად ყველაზე პატარებთან

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ბერიძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში შემავალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელები მოინახულეს. პატარებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცეს და სათამაშოებით დაასაჩუქრეს. ბავშვთა დაცვის საერთაშორის დღე პირველად 1950 წლის 1 ივნისს აღინიშნა და ერთ-ერთი უძველესი საერთაშორისო დღეა.

მიმდინარეობს შიდა დამაკავშირებელი გზის სრული რეაბილიტაცია

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს იმჟამინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ასპინძის რაიონში ინტენსიურად დაიწყო მაღალმთიანი აჭარის რეგიონებიდან (ძირითადად ხულოს რაიონიდან) მოსახლეობის გეგმიური წესით ჩამოსახლება, რომელთაგან ნაწილი სოფელ ოშორაში ჩაასახლეს, ე.წ. სოფლის ქვედა უბანში. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფომ ახალმოსახლეებს დიდი დახმარება გაუწია საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საქმეში, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გაკეთებულა სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, მოუწესრიგებელი შიდა გზები დიდ პრობლემებს უქმნიდა ახალმოსახლეებს და უამინდობის დროს შეუძლებელი იყო გადაადგილება.

დროთა განმავლობაში, კერძოდ, უკანასკნელ ათწლეულში ბევრი სასიკეთო ცვლილებები მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ. პირველ რიგში მოწესრიგდა სიფლის შიდა გზები, მოიხსნა განათების და სასმელი წყლის პრობლემა, ახლახან კი დაიწყო მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება, რაც ითვალისწინებს სოფლის ზედა უბნისა და ქვედა უბნის უმოკლესი დამაკავშირებელი შიდა გზის რეკონსტრუქციას, რაც ძირითადად ითვალისწინებს მდინარე ოშორულას გასწვრივ გზის დიდი მონაკვეთის კეთილმოწყობას თანამედროვე სტანდარტების დონეზე.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ასფალტო-ბეტონის საფარი, გზის საყრდენი კედელი და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა. საგულისხმოა ისიც, რომ ამ პროექტის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა გამოიჩინა მუნიციპალიტეტის მერიამ და ამ სოფლის მოსახლეობისათვის დიდი საშვილიშვილო საქმის განხორციელება გადაწყვიტა, რაც დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი'' აწარმოებს და პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 982 999 ლარს შეადგენს. პროექტი გარდამავალია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

მიმდინარეობს წყალსადენის რეაბილიტაცია

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველისა და ჭობარეთის სასმელი წყლის მილსადენის ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტით გათვალისწინებულია სასმელი წყლის მილსადენის ქსელის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც იცვლება მაგისტრალის გარკვეული მონაკვეთი. დაგეგმილია არსებული შენობის რეაბილიტაცია, საქლორატოროს და შენობის გარეთ ახალი რკინაბეტონის რეზერვუარის მოწყობა.

სამუშაოებს „ნდს მშენებლობა'' აწარმოებს და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 399 399 ლარს შეადგენს.



მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ თმოგვში საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურ ფაზაში შევიდა.

პროექტის ფარგლებში ახალი ორსართულიანი საბავშვო ბაღი შენდება, რომელიც გათვლილია სამოც აღსაზრდელზე და დაკომპლექტდება შესაბამისი პერსონალით.

პროექტით გათვალისწინებულია ბავშვთა სათამაშო და საძინებელი ოთახების, სველი წერტილების, დარბაზის, პერსონალის, ექიმის ოთახისა და საწყობის მოწყობა. ასევე ეზოს სრული რეაბილიტაცია.

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ თმოგვის ახლად აშენებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობით ისარგებლებენ როგორც ადგილობრივი სოფლის, ასევე ნაქალაქევის, ფიის და მირაშხნის აღსაზრდელები. ბავშვთა ტრანსპორტირებას ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება უზრუნველყოფს.

სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „კ-კომპანი" აწარმოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 831 800 ლარს შეადგენს.

კულტურა

„ქართული ხმები“ ასპინძაში

„საქართველოს ისტორიას რომ გაეცნობი, ნამდვილად ღმერთს იწამებ, რადგან არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამ ერს აქამდე მოეღწია, უბრალოდ, არ არსებობს“ , – ბრძანებდა დევიდ მარშალ ლენგი, – ცნობილი ინგლისელი კავკასიოლოგი, ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. ეს ერთ-ერთი, მრავალთა შორის საქართველოს ისტორიაში ღრმად ჩახედული უცხოელის ნააზრევია, მაგრამ, უფრო შორს რომ წავიდეთ, ისინი არამარტო აღიარებს საქართველოს გმირულ ისტორიას, არამედ იმასაც, რომ ქართველმა ერმა მსოფლიო ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა და მისი ფენომენის შესწავლა კიდევ ბევრი და მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმესაც გაგვხდის.

„საქართველოს ისტორია მეფეთა ისტორიააო,“ – ბრძანებს ილია. და ეს ასეცაა, რადგან ისტორიას არა მასები, არამედ პიროვნებები ქმნიან, რომელთა სწორი, მიზანსწრაფული ქმედებები განაპირობებს ქვეყნის ბედს. ისტორია ჩვენი გუშინდელი დღეა, განვლილი გაკვეთილია, საიდანაც სწორი დასკვნების გამოტანა გვამრთებს, რათა ვისწავლოთ იმ შეცდომების გამოსწორება, რისი გათვალისწინებაც უკეთესი მომავლის შექმნისთვისაა საჭირო. ისტორიის ღრმად ცოდნა, უპირველესად, ხელისუფალთ მართებთ, რამეთუ წარსული შეცდომების ანალიზი მათ ჭირდებათ პრობლემების ჟამს ლავირება რომ მოახდინონ და ერი მშვიდობიან გზაზე გაიყვანონ.

საქართველოს სამიათასწლოვან ისტორიაში ქართველმა ერმა, მიუხედავად ხანგრძლივი და სისხლიმღვრელი ომებისა, დღემდე მოაღწია და დიდების შარავანდედით შემოსა ერის თავდადებულ მეფეთა თუ გამორჩეულ მამულიშვილთა სახელები, რომლებმაც საქართველოს გმირული ისტორია დაწერეს. საქართველოს ისტორიას დღემდე ახსოვს ცოტნე დადიანის, მღვდელი თევდორეს, ცხრა ძმა ხერხეულიძის, 300 არაგველის და მრავალ სხვა დიდებულ ქართველთა გმირობა, რომელთა მხრებზე გადადიოდა ომების სიმძიმე.

დღეს თითქოს დავივიწყეთ ჩვენი წარსული, მავანთა მიერ თითქოს გადაფასდა ჩვენი ისტორია, მაგრამ, უდღეურებმა ათასჯერ რომ შეურაცხყონ ჩვენი გმირი წინაპრების სახელები, სანთელ-საკმეველი თავის გზას მაინც არ დაკარგავს.

ბოლო დროს, ეგრერიგად შემოჭრილმა ლიბერასტულმა აზროვნებამ, სამწუხაროდ, მართლა დიდი საფრთხის წინაშე დააყენა ჩვენი ახალგაზრდობის ცნობიერება და იდენტობა, ზოგიერთ ურა პატრიოტსა თუ ვაი ქართველში დედასამშობლო, ფაქტიურად მეორეხარისხოვან სუბიექტად იქცა.

„სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლება სხვაზედა“ – თითქოს აღარ ჟღერს ისე ეს სიტყვები, როგორც საუკუნის წინათ ჟღერდა, იქნებ იმიტომ, რომ „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“, – მშობლიური მიწის ცვრიან ბალახზე კი აღარ დგამენ ჩვენი პატარები ფეხს, არამედ სხვა ქვეყნის ბეტონის ქალაქებში ცხოვრებას ამჯობინებენ მამლუქებად ქცეული ჩვენი თანამემამულენი.

მაგრამ არასოდეს უნდა დავივიწყოთ ისიც, თუ ვისი გორისანი ვართ! დიახ, უნდა გვახსოვდეს ბრძენი ქართველი კაცის ნათქვამი – „ხის სიმაღლე მიწის ზემოდან კი არ იზომება, არამედ – ფესვებიდან“ , იმ ფესვებიდან, რაშიც ღრმად ჩაგვახედა ახლახან ცნობილმა ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა“ (ხელმძღვანელი თემურ ჭკუასელი), რომელიც საქართველოს ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან ჯერ კიდევ 1985 წელს გოგი დოლიძისა და თემურ ჭკუასელის ინიციატივით შეიქმნა. „ქართული ხმების“ სიმღერები გამოირჩევიან ეროვნული თვითმყოფადობით, მაღალი პროფესიული კულტურით, თავისებური მანერით. მათ საქართველოს ყველა კუთხის უძველესი ხალხური სიმღერების გარდა თავის რეპერტუარში შეტანილი აქვთ ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები. ანსამბლმა თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ქვეყანა შემოიარა, დიდი აღიარება და სიყვარული მოიპოვა ათიათასობით თაყვანისმცემელში. დღევანდელი ანსამბლი თუმცა განახლებული სახითაა წარმოდგენილი, მასში მაინც ძველი თაობის მომღერლები ჭარბობენ.

ამ დღეებში საყვარელმა ანსამბლმა ასპინძის კულტურის ცენტრში წარმოადგინა ჩვენი გმირული მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ვრცელი მატიანე – „ლიტერატურულ მუსიკალური კომპოზიციის“ სახით, გაჯერებული როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. თითოეული ისტორიული წყაროს წარმოდგენის შემდეგ გულს მალამოდ ეფინებოდა მათ მიერ მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული მაყურებლისათვის მონატრებული სამხმოვანი ქართული ხალხური სიმღერები, ფაქტიურად ეს იყო ორ საათში ჩატეული – დასაბამიდან, საქართველოში რუსთა ბატონობის დამყარების წლებამდე, განვლილი საქართველოს დიდი ისტორიის წარმოჩინება. ბატონმა თემურმა „ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციაში“ არამარტო ბრწყინვალედ წარმოადგინა საქართველოს ისტორიული წარსული, – სარკინოზთა, ბიზანტიელთა, რომაელთა, არაბთა, თათარ-მონღოლთა, თურქთა თუ სპარსთა წინააღმდეგ ქართველთა შეუპოვარი ბრძოლების ისტორია, ფარნავაზის, ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარის, დემეტრე თავდადებულის, ერეკლე მეორის და სხვათა უდიდესი დამსახურება ქართველი ერის წინაშე. მან ამ კომპოზიციის წარმოდგენითა და ისტორიული ფაქტების კონსტატაციით, განუსაზღვრელი ცოდნა გამოავლინა საქართველოსა თუ მსოფლიო ისტორიაში.

ბატონ თემურის მიერ, თითოეულ კომპოზიციაში ცოცხალი სცენური ბატალიების ჩართვის შემდეგ, ალბათ, ვფიქრობთ (და ეს მომავლის საქმეა) დიდებული ტელეფილმი შეიძლება შეიქმნას, რომელიც დიდ სულიერ საზრდოს მისცემს ჩვენს ახალგაზრდობას (და არა მარტო მათ), რომლებიც ეგრერიგად განიცდიან მსგავსი ტელეფილმების სიმწირეს და ამით დიდი საშვილიშვილო საქმე გაკეთდება. აქვე დავძენ, – კარგი იქნება თუ მანამდე საზოგადოებრივი ტელევიზია აღნიშნული „ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის“ მთლიან ჩანაწერს მიაწვდის ქართველ მაყურებელს.

„ქართული ხმების“ მიერ წარმოდგენილი „ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია“ თითოეული მაყურებლისათვის იმითაც იყო საინტერესო, რომ ანსამბლის ათივე წევრი საქვეყნოდ აღიარებული მომღერალია და მათი სიმღერები დიდი ხანია შეიყვარა ქართველმა საზოგადოებამ.

ავთანდილ ბერიძე

იესოს ღვთიური გულმოწყალების დღესასწაული ხიზაბავრის კათოლიკური ეკლესიაში

დილით ნისლმა და ღრუბლებმა ხასიათი წამიხდინა, 16 ივნისი ხომ ჩვენი ეკლესიის დღესასწაულია, ძალიან ბევრ სტუმრებს ველოდებით და წვიმა კი ხელის შემშლელი აღმოჩნდა, მაგრამ საოცრებაც ხდება ხოლმე, 11 საათისათვის ნისლიც და ღრუბლებიც აიყარა და მზემ ძალუმად გადმოაფრქვია სითბო და სიხალისე ერთად. სტუმრები მართლაც ბევრი გვეწვია – ვარგავიდან, საროდან, ასპინძიდან, ვალედან, ახალციხიდან, უდე-არალიდან, ივლიტიდან, გორის ბეთლემიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან და კახეთის ხიზაბავრიდან.

წირვა ეპისკოპოსმა მეუფე ჯუზეპე პაზოტომ აღავლინა, წირვას ასპინძის მუნიცპალიტეტის მერიც დაესწრო, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. სტუმართა შორის ცნობილი სოციოლოგი, პროფესორი ემზარ ჯგენერაიაც იყო, რომელმაც სხვადასხვა დასახელების ლიტერატურაც გადმოგვცა. წირვის შემდეგ სტუმრებისათვის ჩატარდა სოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით კონცერტი სადაც ჩართული იყო სასოფლო კლუბის გამგე და მომღერალთა გუნდიც, უნდა აღინიშნოს, რომ კონცერტი გერ-

მანიიდან ჩამოსულმა მოხალისეებმა მოამზადეს. შეხვედრის დასასრულს ხიზაბავრელებმა ჩვეული სტუმარ - მასპინძლობა არ დაივიწყეს და მოწვეული სტუმრებისათვის საზეიმო სუფრა გაშალეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსმა შეხვედრებმა სოფელ ხიზაბავრაში ტრადიციული ხასიათი მიიღო, რაც მორწმუნე კათოლიკეთა შორის დიდ საზეიმო განწყობას ქმნის.

ჯემალ დათაშვილი

რჩევები ფერმერებს

წლევანდელი გაზაფხული საქართველოში ხშირი ნალექებით ხასიათდება. თითქმის ყოველდღიურმა წვიმებმა თავისი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის კულტურების განვითარებაზე. მომატებულმა ტენიანობამ, დაბალმა ტემპერატურამ და ხშირმა ღრუბლიანობამ მყარი ფონი შექმნა მცენარეთა დაავადების განვითარებისათვის. დაავადებები განვითარდა როგორც ერთწლოვან ისე მრავალწლოვან კულტურებში. სერიოზული პრობლემები შეექმნა კურკოვან, თესლოვან და კაკლოვან ხეხილს.

არსებულმა კლიმატურმა პირობებმა სოფლის მეურნეობა რთული გამოწვევების წინაშე დააყენა, რაც გულისხმობს დაავადებებისაგან მიყენებული დანაკარგის შემცირებას ან ამ დაავადებების პრევენციას. ამისათვის არსებობს ორი მიდგომა: **პროფილაქტიკა და მკურნალობა.**

პროფილაქტიკური ღონისძიებები იქ, სადაც შესაძლებელია, ჯდება უფრო იაფი და ჩვეულებრივ იძლევა ყველაზე კარგ ეფექტს. სხვადასხვა აგროტექნიკურ საშუალებასაც შეუძლია დაავადებების პრევენცია; მაგალითად აშკარა ეფექტს იძლევა ნებისმიერი დაავადებული მასალის განადგურება ან სხვადასხვა კულტურის მონაცვლეობა სივრცესა და დროში, ნათესებში პათოგენების გავრცელების თავიდან აცილებისთვის. ზოგიერთი დაავადების გამომწვევი ორგანიზმები ვრცელდება სხვა ორგანიზმების დახმარებით (გადამტანი მწერები, სარეველები). ასეთ შემთხვევებში უმჯობესია მათთან ბრძოლა.

ნათესი ფართობების დათვალიერებისას ამ ეტაპზე მკვეთრად მომატებულია დაავადებათა რისკი: ფიტოფტოროზი, პამიდვრის სეპტორიოზი, ანუ თეთრი ლაქიანობა; მაკროსპოროზი, ანუ რუხი მშრალი ლაქიანობა, რომელიც ძირითადად აზიანებს ძაღლყურძენისებრთა ოჯახის წარმომადგენლებს: კარტოფილს, პამიდორს, წიწაკას და ბადრიჯანს. შესაბამისად მათთან

ბრძოლის მეთოდიც ერთნაირია. შეინიშნება კიტრის კუთხოვანი სილაქავე, ჭრაქი.

ფიტოფტოროზის საწინააღმდეგოდ, როგორც სხვა სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ გამოიყენება ფუნგიციდები, რომლებსაც სისტემური მოქმედება აქვთ. ისინი აღწევენ მცენარის შიგნით. ამიტომაც ისინი სწრაფად ახდენენ სოკოვანი ინფექციების ლიკვიდირებას. სასურველია გამოყენებული იყოს სპილენძის შემცველი ფუნგიციდები.

ხეხილოვან კულტურებზე შეინიშნება: ვაშლის ქეცი, ატმის ფოთლის სიხუჭუჭე, ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე, კურკოვანთა ფოთლების სილაქავე, ანუ კლასტეროსპოროზი. კაკალზე შეიმჩნევა: ბაქტერიოზი, ყავისფერი ლაქები (ფილოსტიკოზი), კაკლის მეჭეჭა ტკიპა, ბუგრები და ასე შემდეგ. ამ დროს ხეხილის ნარგავები პირველ რიგში უნდა გავათავისუფლოთ სარეველა ბალახებისაგან, რათა ამ მავნებელ დაავადებების წყაროს სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს, ხოლო შემდეგ, შეძლებისდაგვარად, დავამუშაოთ ქიმიური პრეპარატებით.

ოლღა ბერიძე,
საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

მატიანე

ძველი ასპინძის ერთ-ერთი უბანი. ნახ. რობერტ ბერიძისა

ხალხური მედიცინის რეცეპტი

1.ენაზე თეთრი ფერის ნადები კუჭის დაავადების ნიშანია;

რუხი ფერის ნადები – კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადების;

ყვითელი ფერის ნადები სანაღვლე სისტემის დაავადების ნიშანია;

მოლურჯო ფერის ნადები გულის დაავადების ნიშანია.

2. შავი ყურძნის ან მისი წვენის მიღება ორგანიზმში სპობს თრომბის წარმოქმნას;

3.თვალების ქვეშ არსებულ სილურჯეს მკურნალობენ ცივ წყალში დასველებული საფენის დადებით;

თუ უმადობა გაწუხებთ:

ალოეს ფოთლების წვენი დალიეთ ჩაის კოვზით დღეში სამჯერ;

საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად დაჭერით წვრილად 50 გრამი ალოეს ფოთლები (წინასწარ მოაცილეთ ეკლები), დაკეპილ მასალას დაასხით 100 გრამი ადუღებამდე მისული თაფლი, 24 საათის შემდეგ გაწურეთ და დალიეთ ნელთბილი ყოველ დილით ერთი ჩაის კოვზი, ჭამამდე ერთი საათით ადრე;

გადაღლილობის მოსახსნელად და გულის კუნთის გასამაგრებლად, ასევე თავის ტკივილის თავიდან ასაცილებლად:

– ერთ ჯერზე მიიღეთ 30 გრამი ნიგოზი, 20 გრამი ქიშმიში და 20 გრამი უმარილო ყველი;

– ორ-სამ ლიტრა წყალში მოადუღეთ ალოეს 1-2 ფოთოლი. მიღებული ნაყენით დავიბანოთ თავი და რამდენჯერმე დავიზილოთ სხეული;

ქრონიკული თავის ტკივილის დროს:

– თავი დავიბანოთ წყლით, რომელშიც მოხარშულია გარეული ოხრახუში;

– ყოველი ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე დავლიოთ ორი სუფრის კოვზი კარტოფილის ახალ-ახალი წვენი.

– ერთ სუფრის კოვზ მრავალძარღვას დავასხათ ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, დავდგათ 10-12 წუთით და ½ ჩაის კოვზით დავლიოთ დღეში ორჯერ.

– ლიმონის კანი დავიდოთ საფეთქლებზე.

– ყურებში ჩავიდოთ ჭარხლის წვენში დასველებული ბამბა;

– საფეთქლებზე დავიდოთ გაჭრილი ხახვი;

– შუბლი შევიკრათ კომბოსტოს ფოთლით.

ბავშვებში თავის ტკივილის დროს:

დიდი რაოდენობით გამომშრალი ყვითელი ოქროსცოცხა მოვათავსოთ ბამბის ქსოვილში და გავაკეთოთ მისგან სასთუმალი. ავადმყოფი ბავშვი დავაწვინოთ ერთი ღამე ამ სასთუმალზე, შემდეგ ბალახი მოვადუღოთ და ნაყენით დავბანოთ ბავშვის თავი.

ქრონიკული დაღლილობის და უძილობის დროს:

– ერთ ჩაის კოვზ თაფლს დავამატოთ ორი ჩაის კოვზი ძმარი და მივიღოთ დღეში სამჯერ;

– თავის ტკივილის, უძილობის, ნევროზის, ეპილეფსიის, კლიმაქსის სამკურნალოდ გამოვიყენოთ კატაბალახას ნაყენი ნახარშისა და სპირტიანი ნაყენის სახით;

– ერთ სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ კატაბალახას ფესვებზე დავასხათ ერთი ჭიქა ცივი ანადუღარი წყალი. გააჩერეთ 6-8 საათი. გაწურეთ და დიდებმა მიიღეთ ერთი სუფრის კოვზი დღეში სამჯერ, პატარებმა – ერთი ჩაის კოვზი ასევე დღეში სამჯერ;

– ნახარშ ერთ სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ 15 წუთი დაბალ ცეცხლზე, გააჩერეთ 10 წუთი, გაწურეთ. მოზრდილებმა მიიღეთ ერთი სუფრის კოვზი, ხოლო პატარებმა ერთი ჩაის კოვზი დღეში სამჯერ.

უძილობის მკურნალობა:

სამი ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი აურიეთ ერთ ფინჯან თაფლში. მიიღეთ ძილის წინ ორი ჩაის კოვზი.

პახმელიის სამკურნალოდ:

ერთ ჭიქა წყალში გახსენით პიტნის 20 წვეთი და დალიეთ უზმოზე ან ერთი ჭიქა თბილი რძე.

სკლეროზის დროს:

250 გრამი თეთრი ხახვი, 300 გრამი ნატურალური თაფლი, 250 გრამი თეთრი ხახვის წვენი გახსენით 300 გრამ ნატურალურ თაფლში. მიიღეთ ერთი ჩაის კოვზი დღეში სამჯერ ჭამის წინ ერთი საათით ადრე. განკურნების დროა 4 თვე. ორი თვის შემდეგ საჭიროა შეისვენოთ ორი თვით. შემდეგ ეს პროცესი გავიმეოროთ.

დაქვეითებული მეხსიერების დროს:

განწურეთ ხახვი და დაამატეთ შაქარი ან თაფლი თანაბარი რაოდენობით და მიიღეთ დღეში სამჯერ.

ჩაიწერა ალექსანდრე (იაშა) მელიქიძემ გასული საუკუნის 80-იან წლებში, ასპინძის რაიონის სოფელი ტოლოში

ზომა/წონის ერთეულები ძველი ქართული

1ფუთი = 16 კგ
1 ოყა = 1,36 კგ
1 კოკა = 12 ლ
1 ნიტრა = 10 კგ
1 ჩაფი - 16 ლ
1 საჟენი = 2,134 მ
1 არშინი = 0,7112 მ
1 გოჯი = 4,445 სმ
1 ქცევა == 3600 კვ.მ
1 წყრთა = 51-52 სმ
1 მანძილი = 15,5 კმ
1 დღიური = 0,39-0,5 ჰა

1 ხელადა = 2,3 ან 4 ლ
1 თუნგი =4,5,6 ან 8 ლ
1 ადლი = 2 წყრთა= 101,15 სმ
1 ნაოთხალი = ¼ კოდი
= რაჭაში 8,10 კგ
1 კოდი = საშუალოდ 4 ფუთი
1 ბათმანი = ირანული 3 კგ,
= ოსმალური 7,3 კგ
1 საპალნე = აქლემის - 224-294 კგ,
= ცხენის - 147 კგ,
= ვირის - 65 კგ
1 პირი = დაჭრილი შუშის საზომი = ¼ საჟენი

სპორტი

მოძრაობას ასპინძაც შეუერთდა

„მოდი ვიმოძრაოთ“ – Let's Move - გლობალურ კამპანიას, ასპინძის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა.

23 ივნისს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და სასკოლო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ორგანიზებით ოლიმპიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კამპანია სახელწოდებით – „მოდი ვიმოძრაოთ" (Let's Move) გაიმართა.

ასპინძის მუნიციპალიტეტი აღნიშნულ კამპანიას სხვადასხვა სპორტული აქტივობით შეუერთდა, სადაც ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანებამ მოზარდი სპორტსმენები სიგელებით დააჯილდოვა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და სასკოლო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს ამ კამპანიისთვის გლობალური ხასიათის მიცემა, მოსწავლეებისათვის მეტი ჩართულობისკენ მოწოდება და წახალისება.

აღნიშნული კამპანიის მიზანია მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.

ახალგაზრდობის აქტიურობისათვის

26 ივნისს ასპინძის კულტურის ცენტრში გაიმართა პროექტის – „დებატები უკეთესი განვითარებისთვის" – ფარგლებში დებატების ნახევარფინალი და ფინალი.

ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდა რუსთავისა და ოშორის, დამალისა და ტოლოშის საჯარო სკოლები.

დებატების ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდა რუსთავის და ტოლოშის საჯარო სკოლები და გამარჯვება რუსთავის საჯარო სკოლამ მოიპოვა.

„დებატები უკეთესი განვითარებისთვის" პროექტის ფარგლებში მონაწილეობას იღებდა ასპინძის მუნიციპალიტეტის 8 საჯარო სკოლის მოსწავლეები, მათ შორის: ასპინძის, რუსთავის, ოშორის, ივერიის, აწყვეტის, ტოლოშის, ნაქალაქევის, დამალის საჯარო სკოლები.

პროექტი მოიცავდა სამ დღეს:

I დღეს ასპინძის კულტურის ცენტრში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა – „რა არის დებატები და როგორ წარვმართოთ იგი„;

II დღეს – დებატების I ტური;

III დღეს – დებატების ნახევარფინალი და ფინალი.

ზოგადად „SKYE HUB„-ის პროექტის „დებატები უკეთესი განვითარებისთვის", მიზანია „ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა შემეცნებით/გასართობ აქტივობებში".

„დებატები უკეთესი განვითრებისთვის“ იმართება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით და მათი მხარდაჭერით.

„SKYE HUB„-ის პროექტი განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის განვითრების ცენტრის „ხარისხიანი სოციალური მომსახურებები – ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების უკეთესი წვდომა" – პროექტის ფარგლებში, „World Vision„-საქართველოს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

„ლექსო, არ დაიკარგები!“

ძველი ნათქვამი

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები,
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები“...

ახლანდელი ნათქვამი

საუკუნე ვათვლევინეთ
მაგათ ქალებს ვარსკვლავები,
მგონი ისევ მოენატრათ
ჩვენი თავ-ფეხ-მხარ-მკლავები.

მისამღერი:

დღეს ჩვენ აშშსთანა ვართ, –
მაგათ ხაფანგში გავებით,
ვეღარ გვშველის ზღაპრები და
გვერდზე გვრჩება იგავები.
ახლა თუგინდ შეიკრიბეთ
მთელი ქვეყნის მკითხავები,
ვაითუ მალე ჩამოგვართვან
თუ რამ დაგვრჩა ნიფხავები.

***

უცხოეთში გაფრენილა
ერთ დროს „შენი“ მარო,
დღე და ღამე ბებრებთან ვარ
მათი მოვლით „ვხარობ“.
იქნება შენც ჩამოფრინდე
ხელი მამახმარო,
რაც დოლარი გამოვგზავნე
იქნება იკმარო.
თუ არა და მე ჩამოვალ,
ერთად გავიხაროთ,
განა ფეხებზე მკიდიხარ
ერთ დროს ჩემო ქმარო.
ერთი-ორჯერ გადაგკოცნი, –
ცრემლი მოგაყარო,
დღისით რომ საფლავს გაგითხრი,
ღამე გაგეპარო,
რა გეგონა, რომ მოგყავდა
მეზობელი მარო..

***

როცა კაცი ქვრივდება,
მისი გული ცივდება,
ზაფხულიც კი ვერ ათბობს
წარა-მარა ცივდება.
*
როცა ქალი ქვრივდება,
მისი გული მკვრივდება,
ზამთარიც კი ვერ აკრთობს,
ცივ ქვეყნისკენ ფრინდება.

***

მე მაგის ბედი ვინ მომცა,
მეც რამ შემხვდეს ნეტარება,
როგორც ვხედავ დავბერდი და
წარა-მარა მეპარება.
განა ბევრი დამრჩენია,
მგონი სულიც მეპარება,
ქალო, რამე მაიფიქრე,
შენშიც ეჭვი მეპარება.

***

ლოყას ცეცხლი მოსდებია,
ყვრიმალები მეწვიან,
თურმე შენი მზერა მწვავს და,
სიყვარული მეწვია.
ნეტავ ჩემზე რასა ფიქრობ,
თვალები რას მეტყვიან,
ჩემი გული სიყვარულსა
მგონი გადაეჩვია.

ავტორ-მთქმელი
ზეზვა ბიბილაშვილი, სოფელი იდუმალა

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია